



**თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 35

„25“ სექტემბერი 2014 წ.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის მე-6-ე ნაწილის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის კოდებსა და მუხლებს შორის გადანაწილების წესი დანართი №1-ის შესაბამისად და გეგმის ცვლილების ცნობა დანართი №2-ის შესაბამისად.

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესი

მუხლი 1.ზოგადი დებულებები

1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესი (ტექსტში შემდგომ) შემუშავებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე.
2. წესი განსაზღვრავს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების მექანიზმს.

მუხლი 2. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების ძირითადი პრინციპები.

1. ერთი პრიორიტეტიდან სხვა პრიორიტეტზე ასიგნებების გადანაწილება, გარდა სარეზერვო ფონდის, წინა წლების დავალიანებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის გათვალისწინებულ ასიგნებებისა, შეიძლება მხოლოდ დამტკიცებულ წლიურ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანით.
2. ერთი პრიორიტეტის ფარგლებში შესაძლებელია განხორციელდეს პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილება.
3. ერთი პრიორიტეტის ფარგლებში პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება არ უნდა აღემატებოდეს ამ პრიორიტეტისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების 5%-ს (გარდა სარეზერვო ფონდის და წინა წლების დავალიანების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებისა).
4. ასიგნების გადანაწილების მომენტისათვის გასულ კვარტალში არსებული ასიგნებები არ ექვემდებარება ცვლილებას, გარდა თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებისა.
5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში გამგეობას უფლება აქვს თითოეულ პრიორიტეტზე ყოველთვიურად გასცეს თანხა არა უმეტეს გასული საბიუჯეტო წლის ასიგნების 1/12-სა.
6. ასიგნების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის (შემდგომში გამგებლის) სამართებლივი აქტის - ბრძანების საფუძველზე.
7. შესაბამისი სამართებლივი აქტისა და საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე გამგებელი უფლებამოსილია განახორციელოს ცვლილებები (პროგრამის/ქვეპროგრამის/ლონისძიების დამატება,

პროგრამის/ქვეპროგრამის/ლონისძიების დასახელების შეცვლა, პროგრამული კოდის დამატება) პროგრამულ კლასიფიკაციაში.

8. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით გამგებელი უფლებამოსილია განახორციელოს ცვლილებები (მათ შორის პროგრამულ კოდის ან პროგრამის დამატება) თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დამტკიცებულ შემოსულობებსა და გადასახდელებში. ეს ცვლილებები 1 თვის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა, ცნობის სახით წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

მუხლი 3. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნების გადანაწილების მოთხოვნის წარდგენა, განხილვა, შესრულება.

1. საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნების ეფექტურად ხარჯვის მიზნით საბიუჯეტო ორგანიზაცია, რომლისთვისაც არის მიკუთვნებული ეს გადასახდელები, მიმართვას თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა სამსახურს (შემდგომში საფინანსო - საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა სამსახურს) ასიგნების გადანაწილების თაობაზე. მიმართვაში საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მოყვანილ უნდა იქნას სათანადო არგუმენტაცია და შესაბამისი დასაბუთება ასიგნების გადანაწილებისა და მასზე ვალდებულების აღების არარსებობის თაობაზე.

2. მოთხოვნა საფინანსო - საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა სამსახურს წარედგინება წერილობითი სახით იმ ორგანიზაციის, რომლისთვისაც არის მიკუთვნებული ეს ასიგნებები, ხელმძღვანელის ხემოწერით. საბიუჯეტო ორგანიზაციას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა წერილის შინაარსსა და ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების მიზანშეწონილობაზე.

3. საფინანსო - საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა სამსახური განიხილავს წარმოდგენილ წერილობით მოთხოვნას და არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა გამგებელს წარუდგენს შესაბამის წინადადებებს (მოხსენებითი ბარათი და შესაბამისი სამართებლივი აქტის პროექტი) ასიგნების გადანაწილების თაობაზე.

4. გადანაწილების თაობაზე გამგებლის მიერ დადებით გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გამგებელი გამოსცემს შესაბამის სამართებლივ აქტს, რომლის საფუძველზე საფინანსო - საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა სამსახური ატარებს სათანადო ცვლილებას, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ წესის შესაბამისად.

5. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილი ასიგნების გადანაწილებაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე, საბიუჯეტო ორგანიზაციამ საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურში არ უნდა წარადგინოს ვალდებულებების დოკუმენტი იმ ასიგნებებზე, რომელთა გადანაწილებაზე არსებობს მოთხოვნა.

6. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან თანხის გამოყოფის შესახებ შესაბამისი სამართებლივი აქტის საფუძველზე, საფინანსო-საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა სამსახური ამზადებს გამგებლის ბრძანების პროექტს ამ თანხის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელებში ასახვის მიზნით. ბრძანების გამოცემის შემდეგ საფინანსო-საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა სამსახური ატარებს შესაბამის ცვლილებებს ბიუჯეტის

ორგანიზაციულ კლასიფიკაციაში და მის მიერ დამტკიცებულ განწერაში, ამ მუხლის მე-7-ე პუნქტით გათვალისწინებულ წესის შესაბამისად.

7. წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებები ზუსტდება ამ წესით გათვალისწინებული გეგმის ცვლილებების ცნობით (დანართი №2). გეგმის ცვლილებების ცნობა დგება 2 ეგზემპლარად, რომლის პირველი ეგზემპლარი რჩება საფინანსო-საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა სამსახურს, ხოლო მეორე გადაეცემა საფინანსო-საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა სამსახურის სამეურნეო, საგეგმო-სახაზინო განყოფილებას, ხოლო მესამე ეგზემპლარი ეგზავნება შესაბამის საბიუჯეტო ორგანიზაციას.

8. გეგმის ცვლილებების ცნობით ზუსტდება აგრეთვე სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებით გათვალისწინებული ასიგნებები. ამ შემთხვევაშიც წლიური გეგმის დაზუსტება და ასიგნების გაცემა ხორციელდება ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.

9. სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდების ასიგნების საფუძველს წარმოადგენს შესაბამისი სამართლებლივი აქტი.

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის
 საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური
 გეგმის ცვლილების ცნობა №
 20 წლის

(საბიუჯეტო ორგანიზაციის დასახელება, ორგანიზაციული კოდი)

(ცვლილებების საფუძველი, სამართლებრივი აქტის ცხრილი, ნომერი)

(ცვლილებების შინაარსი)

პროგრამული კოდი	პროგრამის (ქვეპროგრამის) დასახელება	საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	ცვლილებების თანხა +/-				
			წლიური გეგმა	მათშორის კვარტლების მიხედვით			
				Iკვ.	IIკვ.	IIIკვ.	IVკვ.
	ჯამი						

დაფარვის ან მიმართვის წყარო:

1. დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნება
2. სარეზერვო ფონდი
3. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი
4. დანარჩენი ცვლილება

საფინანსო - საბიუჯეტო საფინანსო-საბიუჯეტო
 და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი -
 სამეურნეო, საგეგმო-სახაზინო განყოფილების უფროსი -

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი